

შპს აურეუმ ველუს სექიურიტას

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია: შპს აურეუმ ველუს სექიურიტას
ვალუტა: GEL

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2021	2022
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 594 004	378 077
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	4 004 196	1 527 233
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	7 431 033	8 375 641
ავანსად გაცემული სახსრები		7 333 985
მოკლევადიანი აქტივები	13 029 233	17 614 936

გრძელვადიანი აქტივები	-	-
აქტივები სულ:	13 029 233	17 614 936

მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
-----------------------------------	---	---

გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
ვალდებულებები სულ:	-	-

საწესდებო კაპიტალი	-	-
წინა პერიოდის მოგება/ზარალი	22 995 295	13 029 233
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	1 888 066	6 771 880
გაცემული დივიდენდები	(11 854 128)	(2 186 177)
კაპიტალი სულ:	13 029 233	17 614 936
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	13 029 233	17 614 936

დირექტორი
ანდრეი მიხნევიჩი

კომპანია: შპს აურეუმ ველუს სექიურიტას
ვალუტა: GEL

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	2021	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	11 351 189	10 129 756
გაყიდვების თვითღირებულება	(8 172 805)	(2 309 472)
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	3 178 384	7 820 284
ხელფასის ხარჯი	(232 960)	(418 111)
იჯარის ხარჯი		
საბანკო მომსახურება	(836)	(816)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(67 110)	(375 078)
SGA :	(300 906)	(794 005)

მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	90 159	2 503
ზარალი კუკურსთა შორის სხვაობიდან	(1 079 571)	(256 902)

EBITDA	1 888 066	6 771 880
ამორტიზაცია	-	-

წმინდა მოგება	1 888 066	6 771 880
---------------	-----------	-----------

დირექტორი
ანდრეი მიხნევიჩი

კომპანია: შპს აურეუმ ველუს სექიურიტას
ვალუტა: GEL

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	2021	2022
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	22 995 295	13 029 233
წმინდა მოგება	1 888 066	6 771 880
გაცემული დივიდენდები	(11 854 128)	(2 186 177)
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს	13 029 233	17 614 936

დირექტორი
ანდრეი მიხნევიჩი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აურეუმ ველუს სექიურიტას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 21 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 400185107. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქ., №264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს IT მომსახურების გაწევა.

კომპანიის 100% წილი ეკუთვნის ოლეგ კოჟუხოვსკის (51N6976383), კომპანიის დირექტორია ანდრეი მიხნევიჩი (FG535069).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც, ვალდებულია შეადგინოს ფინანსური ანგარიშგება: ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებას დაურთოს განმარტებითი შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

ნაღდი ფული და ფულადი ექვივალენტები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. კომპანიაში არ წარმოებს ოპერაციები ნაღდი ფულით. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021	2022
ლარი / აშშ დოლარი	3,2766	2,7020
ლარი / ევრო	4,0233	2,8844

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება დებიტორული დავალიანებისგან, რომელიც წარმოშობილია გაფორმებული გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ფლობს ძირითად საშუალებებს.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებული ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება შემოსავალში ან ხარჯებში. საანგარიშო პერიოდის ბოლო კომპანიას ვალდებულებები არ უფიქსირდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურებას, სამივლინებო ხარჯებს, საბანკო მომსახურებას, საკონსულტაციო მომსახურებას და სხვა საოფისე და საოპერაციო ხარჯებს.

სავალუტო სახსრების გადაფასება

სავალუტო სახსრების გადაფასება ხორციელდება ყოველწლიურად საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად:

	2021	2022
არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების	90159	2503
არასაოპერაციო ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(1079571)	(256902)

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. შპს აურეუმ ველუს სექიურიტა-მ 2020 წელი დაასრულა მოგებით, ღივიდენდის გატანა განხორციელდა, თუმცა არ მომხდარა მოგების გადასახადის გადახდა, რადგან კომპანია რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი

ანდრეი მიხნევიჩი

Mikhnevich Andrii